ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგია ასრულებს რა, საპროცესო კოლეგიის ფუნქციას საქმეს განიხილავს შემდეგი შემადგენლობით:

არჩილ კბილაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

დავით კაკაბაძე – კოლეგიის წევრი

გიგა კვერენჩხილაძე – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ს. გ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 01.12.2011

საჩივრის რეგისტრაციის №101/11

გადაწყვეტილების მიღების თარიღი: 03.01.2012

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ნ. კ. მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. კ. მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2011 წლის 01 დეკემბერს ს. გ. მომართა სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას და მოითხოვა ადვოკატ ნ. კ. მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და

დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, ნ. კ. მეუღლისაგან მ. ბ. ისესხა თანხა ჯერ 900, შემდეგ 800 ევროს ოდენობით. მ. ბ. დაუწერა ხელწერილი 800 ევროს სესხის სახით მიღების თაობაზე, მაგრამ მან სთხოვა დაეწერა ხელწერილი, სადაც ჯამში დაფიქსირდებოდა მიღებული თანხა. ს. გ. მოითხოვა გამსესხებელს დაეხია ძველი ხელწერილი 800 ევროს სესხების თაობაზე.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, ნ. კ. და მისმა მეუღლემ იცრუეს ძველი ხელწერილის განადგურების შესახებ. საჩივრის ავტორი 2007 წლიდან ხელწერილში აფიქსირებდა გამსესხებლისთვის მიცემულ თანხას, რომელსაც მეორე მხარეც აწერდა ხელს. 2011 წელს მას მოსთხოვეს დამატებითი პროცენტები. მთლიანობაში გადაიხადა 4 800 აშშ დოლარი. შემდეგ ავადმყოფობის გამო აღარ ჰქონდა თანხის გადახდის საშუალება. ნ. კ. დაურეკა მას და დაემუქრა. ადვოკატმა გააყალბა მისი ხელწერილი, ვითომ თანხა არ ჰქონდა გადახდილი. მის ხელწერილს მოახია ქვედა და ზედა ნაწილი, 2008 წლის ხელწერილიც საბუთად აქცია, თავისი ხელით ჩაწერა 2009 წელი, სასამართლოს მიმართა სარჩელით და ცოლის ინტერესებს იცავდა ს. გ. წინააღმდეგ.

1.4 საჩივრის ავტორთან გასაუბრება შედგა 2011 წლის 27 დეკემბერს ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე, სადაც მან დაადასტურა საჩივარში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებები.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ნ. კ. 2011 წლის 21 დეკემბერს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება.

2.2 ადვოკატის განმარტებით, ს. გ. საჩივარში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეესაბამება სინამდვილეს. ადვოკატის განცხადებით, ს. გ. საჩივარზე თანდართული დოკუმენტებითაც დასტურდება ის ფაქტი, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მისი მარწმუნებლის მ. ბ. სარჩელი და მოპასუხე ს. გ. მოსარჩელე მ. ბ. სასარგებლოდ დაეკისრა 2000 ევროს ექვივალენტი თანხის გადახდა ლარებში.

2.3 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორს არ სურდა მ. ბ. ვალის გადახდა და ამიტომ, გარდა იმისა, რომ გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში გაასაჩივრა, მისი, როგორც მ. ბ. წარმომადგენლის დისკრედიტაციის მიზნით მომართა საჩივრით ეთიკის კომისიას.

2.4 ადვოკატი საჩივრის ავტორის პირველ პრეტენზიასთან, ს. გ. ვალის აღიარების ხელწერილის გაყალბების თაობაზე, რომ თითქოს ნაცვლად 2007 წლისა მან თავის მარწმუნებელთან ერთად მიაწერა 2009 წელი, აღნიშნავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ უკვე იმსჯელა და 2011 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში სათანადო შეფასება მისცა მოპასუხე მხარის უსაფუძვლო არგუმენტებს ვალის აღიარების ხელწერილებში ცვლილებების შეტანის და ასევე, ვალის თითქოსდა გადახდის თაობაზე.

2.5 ადვოკატის განმარტებით, ეთიკის კომისია ვერ იმსჯელებს ს. გ. განცხადებაზე, რომელიც უკვე იყო სასამართლოს მსჯელობის საგანი. მით უმეტეს, რომ მას რაიმე ახალი არგუმენტი და მტკიცებულება ეთიკის კომისიაში არ წარმოუდგენია და თავის საჩივარს დაურთო მხოლოდ სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმის მასალები.

2.6 ადვოკატი საჩივრის ავტორის მეორე პრეტენზიასთან ტელეფონით საუბრისას დამუქრების შესახებ, აღნიშნავს, რომ ს. გ. არც 2011 წელს და არც სხვა დროს, ტელეფონით არ უსაუბრია და მას არასდროს დამუქრებია. საჩივრის ავტორი სასამართლო პროცესზეც არ გამოცხადებულა და მის ინტერესებს იცავდა მისი ადვოკატი რ. ძ.. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მან სატელეფონო საუბრისას ს. გ. მართლაც უთხრა საჩივარში მოხსენიებული სიტყვები: ,,ნახე შენ რა გაგიკეთო" მათში არ გამოიხატება მუქარა, სიტყვიერი შეურაცხყოფა, მორალური ზეწოლა, ეკონომიკური ზარალი და ა.შ. რაზედაც მიუთითებს საჩივრის ავტორი.

2.7 ადვოკატის განმარტებით, ს. გ. ადვოკატთან სატელეფონო საუბრის დამადასტურებელი მტკიცებულება ანუ ამონაბეჭდი მასთან სატელეფონო საუბრის (კავშირის) შესახებ არ წარმოუდგენია. საჩივრის ავტორი ასევე მოწმის სახით უთითებს პირებს, რომლებიც არ დასწრებიან სატელეფონო საუბარს. ისინი წარმოადგენენ ს. გ. მეგობრებს და სხვადასხვა მიზეზთა გამო დაინტერესებულ პირებს. კერძოდ, ზოგიერთმა როგორც მოწინააღმდეგე მხარემ, მოსარჩელე მ. ბ. სამოქალაქო დავა წააგო (ხ. კ.), ზოგიერთი მისი დაა (ლ. დ.) და ა.შ. ამის გამო, ისინი განაწყენებულნი არიან ადვოკატზე, როგორც პროცესუალური მოწინააღმდეგის წარმომადგენელზე და შურისძიების მოტივით, მზად არიან ნებისმიერ არარსებულ ქმედებაში დაადანაშაულონ.

II სამოტივაციო ნაწილი

3 ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ნ. კ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი. ადვოკატის წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე ის არ არის გარიცხული სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან".

3.2 ს. გ. ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2011 წლის 01 დეკემბერს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელებულია 2011 წლის აგვისტო-სექტემბერში. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4 შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ნ. კ. მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5 სამართლებრივი შეფასება

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა ნ. კ. მის მარწმუნებელთან მ. ბ. ერთად გააყალბა საჩივრის ავტორის ხელწერილები ვალის აღიარების შესახებ; 2011 წელს ვალთან დაკავშირებით სატელეფონო საშუალებით ესაუბრა განმცხადებელს და დაემუქრა სიტყვებით: ,,ნახე შენ რა გაგიკეთოო.“

5.2 განსახილველ შემთხვევაში, ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ ნ. კ. მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.2.1 ,,ადვოკატმა არ უნდა მიაწოდოს სასამართლოს წინასწარი შეცნობით ყალბი მტკიცებულება“.

5.3 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში ადვოკატი ნ. კ. წარმოადგენს საჩივრის ავტორის პროცესუალური მოწინააღმდეგის, მ. ბ., ადვოკატს. მ. ბ. არის ნ. კ. მეუღლე. განმცხადებელს, ს. გ.ს, მ. ბ., ადვოკატ ნ. კ. მეუღლესთან, ჰქონდა სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობა სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, რაზეც არსებობს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილება და ამჟამად საჩივრის ავტორს წარდგენილი აქვს სააპელაციო საჩივარი.

5.4 ეთიკის კომისია საჩივრის ავტორის პირველ პრეტენზიასთან, დოკუმენტების გაყალბებასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ დოკუმენტის სიყალბის შემოწმება არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში. ეთიკის კომისია უფლებამოსილია იმსჯელოს ადვოკატის ქმედებაზე - მის მიერ სასამართლოსათვის წინასწარი შეცნობით ყალბი მტკიცებულების მიწოდებაზე, მას შემდეგ, რაც დოკუმენტის სიყალბე სათანადო ორგანოების მიერ იქნება დადგენილი. მხარის მიერ გამოთქმული ვარაუდი, რომ ადვოკატმა ნ. კ. მის მარწმუნებელთან, მ. ბ. ერთად გააყალბა ვალის აღიარების ხელწრილი, არ არის დადასტურებული არც სასამართლოს მიერ და არც სხვა მტკიცებულებით, შესაბამისად ეთიკის კომისია მოკლებულია შესაძლებლობას შეფასება გაუკეთოს ადვოკატის ქმედებას სასამართლოსათვის წინასწარი შეცნობით ყალბი მტკიცებულების მიწოდების თაობაზე.

5.5 ადვოკატის იმ პოზიციასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც ეთიკის კომისიის მსჯელობის საგანი ვერ გახდება განცხადება, რომელზეც არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება, ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ სასამართლოში დავის საგანს წარმოადგენდა თანხის დაკისრება, მოცემულ შემთხვევაში კი ეთიკის კომისიის მსჯელობის საგანს წარმოადგენს უშუალოდ ადვოკატის ქმედებათა შეფასება, თუ რამდენად იცავდა იგი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას ადვოკატთა პროფესიული ეთიკის სტანდარტებს, რისი შეფასების უფლებამოსილებაც ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, გააჩნია ეთიკის კომისიას განმცხადებლის მიერ მტკიცებულებათა წარმოდგენის შემთხვევაში.

5.6 ეთიკის კომისია საჩივრის ავტორის მეორე პრეტენზიასთან, ადვოკატის მიერ მის მიმართ განხორციელებულ მუქარასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ მხარეს არ წარმოუდგენია მტკიცებულებები, რომ ეთიკის კომისიას შეეფასებინა მუქარის შესახებ საჩივარში მოყვანილი გარემოება.

5.7 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ს. გ. ადვოკატის მიერ მტკიცებულებათა გაყალბებისა და მის მიმართ მუქარის განხორციელების თაობაზე უფლება აქვს მიმართოს სათანადო

კომპეტენციის მქონე ორგანოს - სამართლდამცავ ორგანოებს. თუ სამართლადამცავი ორგანოების მიერ დადგინდება დოკუმენტთა გაყალბების და/ან მუქარის ფაქტები ს. გ. კვლავ ექნება უფლება საჩივრით მომართოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას.

5.8 ეთიკის კომისიამ ადვოკატ ნ. კ. ქმედებებში ვერ აღმოაჩინა ,,ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის" მე-9 მუხლის მე-3 ნაწილის შესაძლო დარღვევის ნიშნები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ნ. კ. მიმართ არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა რა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-7 პუნქტით, 32-ე მუხლითა და 33-ე მუხლით; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილით; ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების მე-19 მუხლით, 27-ე, 28-ე, 30-ე და 31-ე მუხლების საფუძველზე გადაწყვიტა:

1. ს. გ. 01.12.11. წლის საჩივარი №101/11 არ დაკმაყოფილდეს. საჩივრის ავტორს უარი ეთქვას ადვოკატ ნ. კ. მიმართ მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრაზე.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /არჩილ კბილაშვილი/

კოლეგიის წევრი: /დავით კაკაბაძე/

კოლეგიის წევრი: /გიგა კვერენჩხილაძე/